ომის პრინციპები - რატომ ცხრა?

თადარიგის გენერალ-ლეიტენატი დავით თევზაძე
პროფესორი

აბსტრაქტი

მოსაზრება, რომ ომის პრინციპები ომის წარმოების გზამკვლევია ომის სამივე დონისათვის ქვეყნების სამხედრო დოქტრინებში გვხდება. ზოგადად, პრინციპებზე მსჯელობა ევროპული სამხედრო სააზროვნო სივრცის განუყოფელ ნაწილად **კლაუზევიცის** (1780- 1831) შემდეგ იქცა. დღეს ომის პრინციპები ყველა დოქტრინაში გამოკვეთილადაა მონიშნული, როგორც ომისადმი მიდგომის და ოპერაციების პრაქტიკული განხორციელების საფუძველი. იქნებ დროთა განმავლობაში, იარაღისა და ომის ფორმების ცვლილებებიდან გამომდინარე, პრინციპების დღევანდელი ჩამონათვალი შეიძლება საერთოდ ირელევანტური აღმოჩნდეს? შეგვიძლია ვთქვათ, რომ ომის პრინციპების გააზრების თემა სულაც არ არის ამოწურული იმით, რომ მათი ჩამონათვალი, წლებია, უცვლელად გადადის დოქტრინიდან დოქტრინაში, ანდა დოქტრინის ერთი რედაქციიდან მეორეში. კვლევაში ვნახავთ რომ მიუხედავად ერთგვარი უცვლელეობისა, როგორც ირკვევა, მათი შინაარსი მეტად პირობითია. ისევე, როგორც პირობითად რჩება მათი რაოდენობაც.

საკვანძო სიტყვები:
ომის პრინციპები, ძალის ეკონომიის კანონი, მიმართულების პრინციპი, კონცენტრაციის პრინციპი, დანაწილების პრინციპი, ძალის განსაზღვრის პრინციპი, სიურპრიზის (მოულოდნელობის) პრინციპი, მდგრადობის პრინციპი, მობილურობის პრინციპი, შემტევი (აგრესიული) მოქმედების პრინციპი, უსაფრთხოების პრინციპი

THE PRINCIPLES OF A WAR - WHY NINE?

RESERVE LIEUTENANT GENERAL DAVIT TEVZADZE
PROFESSOR

ABSTRACT

The notion that the principles of war are a guide to the conduct of war for all three levels of war is also found in the military doctrines of other countries. In general, the discussion of principles became an integral part of the European military space of thought after **Clausewitz** (1780-1831). Today, the principles of war are clearly marked in all doctrines as the basis for a practical approach to war and operations. Maybe over time, due to changes in the forms of weapons and war, the current list of principles may seem completely irrelevant? We can say that the topic of understanding the principles of war is not at all exhausted by the fact that their list, over the years, changes invariably from doctrine to doctrine, or from one version of the doctrine to another. In the study we will see that despite a kind of immutability, as it turns out, their content is highly conditional. Even though their number might sometimes remain the same.

KEYWORDS:
Principles of War, Law of Economics of Power, Principle of Direction, Principle of Concentration, Principle of Partition, Principle of Determination of Force, Principle of Surprise, Principle of Sustainability, Principle of Mobility, Principle of Aggressive Action, Security

აშშ არმიის საველე წესდებაში (FM-100-5), რომელიც საარმიო ოპერაციების მართვასა და წარმოებას აღწერს, წერია, რომ **ყველა დონის სამხედრო ოპერაციების წარმატებული ჩატარებისათვის აუცილებელია არმიის მოქმედების დოქტინის საფუძვლების გააზრება: ეს არის ომის პრინციპები და საარმიო ოპერაციათა პოსტულატები. ომის წარმოების ცხრა პრინციპი ერთგავრი გზამკვლევია როგორც სტრატეგიულ, ასევე ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეზე** [1, თავი2, 2-4]

მოსაზრება, რომ ომის პრინციპები ომის წარმოების გზამკვლევია ომის სამივე დონისათვის სხვა ქვეყნების სამხედრო დოქტრინებშიც გვხდება. ზოგადად, პრინციპებზე მსჯელობა ევროპული სამხედრო სააზროვნო სივრცის განუყოფელ ნაწილად **კლაუზევიცის** (1780- 1831) შემდეგ იქცა. დღეს ომის პრინციპები ყველა დოქტრინაში გამოკვეთილადაა მონიშნული, როგორც ომისადმი მიდგომის და ოპერაციების პრაქტიკული განხორციელების საფუძველი.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ომის პრინციპებისადმი დამოკიდებულება სხვადასვა დროს სახვადასხვა იყო: მაგალითად, პრუსიის მეფეს, **ფრიდრიხ დიდს** (1712-1786) მიაჩნდა, რომ **არასოდეს არ უნდა მისდიო პრინციპებს ისე, როგორც ბრმა მიყვება კედელს**. სხვათაშორის, ამავე აზრს ავითარებდა **კლაუზევიციც**, რომელიც წერდა, რომ **პრინციპები გენიოსებისთვის არ ყალიბდება** (იხ. [6, 737])

ჩინელი სტრატეგი **სუნ ძი** (ძვ.წ. 544 -ძვ.წ. 496) ომში წარმატებისათვის რამოდენიმე გარემოებას უსვამდა ხაზს (თუმცა ამ გარემოებებს ის პრინციპებს არ უწოდებდა). ეს გარემოებებია:

» ხუთი ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვანია ომისათვის: **მორალური გავლენა, ამინდი, გარემო, ხელმძღვანელი, დოქტრინა**
» გამარჯვება მიიღწევა **ეშმაკობით, სისწრაფით, და მოწინააღმდეგის ცოდნით**
» უმაღლესი ხელოვნებაა **გაიმარჯვო ომის გარეშე** (ibid)

თავად **კლაუზევიცი**, რომელიც გენიოსებითვის პრინციპების დაცვას აუცილებლად არ მიიჩნევდა, მკვეთრად აყალიბებდა რამოდენიმე პრინციპს, რომელიც მას გამარჯვების წინაპირობად მიაჩნდა:

» გამოიყენე მაქსიმალური ძალისხმევა
» გადამწყვეტი დარტყმის ადგილას მოახდინე კონცენტრაცია
» ნუ დაკარგავ დროს და განაცვიფრე მოწინააღმდეგე
» ენერგიულად განავითარე წარმატება

აღნიშნულს ის ამატებდა 3 პრინციპს თავდაცვაში მოქმედებისას, 14-ს შეტევისთვის, 7-ს ჯარების მართვისა და 17-ს სხვადსხვა ლანდშაფტზე მოქმედებისათვის [ibid]

ფრანგ გენერალ **ჟომინის** (1779 – 1869), რომელმაც ომის პრინციპები ასევე ნაპოლეონის კამპანიების ანალიზის შედეგად გამოკვეთა, მიაჩნდა, რომ აუცილებელია:

» მიმართო ძირითადი მასა ომის თეატრის გადამწყვეტი ადგილისაკენ და ამავდროულად იმდენჯერ შეუტიო მოწინააღმდეგის კომუნიკაციებს, რამდენჯერაც შესაძლებელია
» სწრაფად გადაადგილდე და ბრძოლაში ჩაითრიო მოწინააღმდეგის მცირე ნაწილები საკუთარი ძირითადი ძალების წინააღმდეგ
» შეტევის ფოკუსი - სუსტი ან დუცველი ფლანგი, რომელიც არის გადამწყვეტი დარტყმის ადგილი
» დამხმარე ძალისხმევაზე უნდა დაიზოგოს ძალა და ძალის თავმოყრა გადამწყვეტ ადგილას უნდა მოხდეს[9]

ერთგვარმა მსგავსებამ ჟომინისა და კლაუზევიცის ხედვებისა, მათი დაპირისპირების მიუხედავად, არ უნდა დაგვაბნიოს: ომს, ორივე, ნაპოლეონის კამპანიების თვალსაწიერიდან აფასებდა.

ბრიტანელი ფელდმარშალი **უილიამ სლიმი** (1891 – 1970), აერთიანებდა რა ამ ოთხს, თვლიდა, რომ, საერთოდ, არსებობს ერთად-ერთი პრინციპი ომისა და ის შემდეგია: **დაარტყი რაც შეიძლება სწრაფად, რაც შეიძლება მაგრად, იქ სადაც ყველაზე მტკივნეულია და მაშინ, როდესაც არ გხედავენ**. საინტერსოა, რომ ეს დებულება ეპიგრაფად შეირჩა აშშ საზვაო ქვეითთა ტაქტიკის 1991 წლის სახელმძღვანელოსთვის (FMFM 1-3) [2].

მე-20 საუკუნის დასაწყისში პრინციპებზე საუბარი დაიწყო ბრიტანელმა გენერალ-მაიორმა **ჯონ ფულერმა** (1878-1966). აქ კი ცოტა შევჩერდეთ: მიუხედავად იმისა, რომ სტატიის ფორმატი არ იძლევა საშუალებას ფულერის ომის მეცნიერების დეტალური განხილვისა, ვფიქრობ მისი სააზროვნო ხაზის ზოგადი აღწერა მაინც შესალებელია და მეტიც, აუცილებელი. საქმე იმაშია, რომ ის, რომ ომის პრინციპებად აღიარებული დებულებების რაოდენობა ცხრაა, ფულერის ნააზრევიდან წამოსული ტრადიციაა: ჯერ კიდევ 1911 წელს,

როდესაც მას გერმანიაში გატარებული არდადაგების შემდეგ ჩამოუყალიბდა აზრი ევროპაში დიდი ომის გარდუვალობის შესახებ, ის დაინტერესდა საკითხით, არსებობს თუ არა იმდაგვარი სააზროვნო სქემები, რომელიც ომის მართვას მოწესრიგებულ, გამართულ და აზრიან საქმიანობად აქცევს, თუ ყველაფერი სარდლის (სარდალთა) ინტუიციის იმედადაა დარჩენილი? ამ კითხვაზე პასუხის ძიებისას ის იწყებს ნაპოლეონის მიმოწერის შესწავლას [3].

შემდეგი სქემები, რომელიც [3,13-16]-ს ეყრდნობა, აჩვენებს იმ გზას, თუ როგორ მიმდინარეობდა ფულერის აზროვნების ევოლუცია ქრონოლოგიურად:

წელი	**მოვლენა**
1911	მოგზაურობა გერმანიაში: ფულერს უყალიბდება რწმენა დიდი ევროპული ომის გარდუვალობის შესახებ. იწყებს ნაპოლეონის მიმოწერის შესწავლას.
1912	ფულერი მიდის დასკვნამდე, რომ ნაპოლეონი ხელმძღვანელობდა ექვსი პრინციპით.
1915-1916	ფულერი აქვეყნებს წერილს „ომის პრინციპები 1914-15 წლების კამპანიებთან მიმართებაში“, სადაც ის ამატებს ორ პრინციპს, რომელიც არ ქონია ნაპოლეონს.
1917	ფულერს იწვევენ ალდერშოტის ოფიცერთა სკოლაში, სადაც ის კითხულობს კურსს ომის პრინციპების შესახებ.
1918	ფულერს უყალიბდება აზრი, რომ ომი, როგორც ხდომილება, რომელიც ძალის ეფექტურად(ეკონომიურად) გამოყენებას ეყრდნობა, იმავე კანონზომიერებს ექვემდებარება, რაც ფიზიკური გარემო, და ამ კანონზომიერებებიდან და ძალის ეკონომომიური გამოყენების მოთხოვნიდან გამომდინარეობს **ოთხი პრინციპი**: » **მოულოდნელობა** » **ძალის დანაწილება** » **ძალის კონცენტარაცია** » **კოოპერირება** მაგრამ, ვინაიდან ომი ასევე ადამიანის მოქმედებას და მორალურ ძალთა დაძაბვასაც გულისხმობს, მას ასევე ჭირდება ამ ოთხის შესატყვისი პრინციპები ადამიანური ფაქტორის აღსაწერად: » **ობიექტის შერჩევა** » **უსაფრთხოება** » **აგრესიულობა** » **მობილურობა** და დამატებით სამი პრინციპი მორალური განზომილების აღსაწერად. ესენია » **გადამწყვეტი მოქმედება** » **სიმტკიცე (გამძლეობა, მდგრადობა – endurance)** » **დემორალიზაცია (მოწინააღმდეგის).**
1920-1923	გამოდის ფულერის ორი სტატია „**ომის მეცნიერების საფუძლები**“ და „**ომის ცვლილება**“, სადაც ახსნილია მისი მიდგომის საფუძვლები.
1925	**ლიდელ ჰარტთან** (1895 – 1970) მიმოწერის შემდეგ, ფულერი საბოლოოდ ყალიბდება ცხრა პრინციპის თაობაზე, რომელიც სამ ჯგუფად არის წარმოდგენილი: **მენტალური, მორალური, ფიზიკური**

პრინციპების ხედვა წლების მიხედვით:

პრინციპების თავდაპირველი ხედვა (ნაპოლეონი) **1912 წ.**	**1914-1915 წლების კამპანიების ანალიზი 1916 წ.**	**საველე სამსახურის ახალი წესდება 1924 წ.**	**წესდების 1925 წლის რედაქცია**
1. შეტევის ობიექტი - (შეტევის) ჭეშმარიტი ობიექტი არის ის ადგილი, სადაც მოწინააღმდეგეს შეგიძლია გადამწყვეტი მარცხი მიაყენო 2. ძალისა და ძალისხმევის კონცენტრაცია გადამწყვეტ ადგილას (მასის პრინციპი) 3. აგრესიულობა 4. უსაფრთხოება 5. მოულოდნელობა 6. მობილურობა	1. იგივე 2. იგივე 3. იგივე 4. იგივე 5. იგივე 6. იგივე 7. ძალთა გადანაწილება 8. კოოპერაცია	1. შეინარჩუნე შეტევის ობიექტი 2. აგრესიულობა 3. სიურპიზი 4. კონცენტრაცია 5. ძალის განაწილება 6. უსაფრთხოება 7. მობილურობა 8. კოოპერაცია	1. შეინარჩუნე შეტევის მიმართულება 2. იგივე 3. იგივე 4. იგივე 5. ძალთა განაწილება 6. იგივე 7. იგივე 8. მდგრადობა 9. ძალის ორგანიზაცია

უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით დღევანდელი მიდგომებისაგან, ფულერისათვის პრინციპები ურთიერდაკავშირებულ და ურთიერთგანმსაზღვრელ მთლიანობას შეადგენს, რაც, როგორცა ჩანს, გაპირობებულია იმით, რომ პრინციპები მთლიანად თეორიული მსჯელობის (და არა რომელიმე ომის პრაქტიკის ანალიზის შედეგი, როგორც კლაუზევიცთან) შედეგია. შემდეგ დიაგრამაზე კარგად ჩანს თუ რას უდებს ის საფუძვლად პრინციპებზე მსჯელობას და როგორ ქმნიან ისინი მთლიანობას [იხ. 3,220].



როგორც დიაგრამიდან ვხედავთ, ძალა, რომლის გამოყენების პრინციპებზეა რეალურად ლაპარაკი, ცენტრშია მოთავსებული და მის გარშემო „ბრუნავს“ , ანდა ჯგუფდება პრინციპები, რომელიც ერთი მეორედან ბუნებრივად მომდინარეობს და ერთგვარ ციკლს ქმნის:

» **კოსმიური სიბრტყე**: მიზანი და განზრახულობა ქმნის ძალის ეფექტური (ეკონომიური) გამოყენების საფუძველს
» **მენტალური სიბრტყე**: მიმართულება და კონცენტრაცია განსაზღვრავს მიწოდებას (პირველი, მეორე და მესამე პრინციპები)
» **მორალური სიბრტყე**: გადამწყვეტი მოქმედება და მოულონელობა იძლევა მდგრადობას (მეოთხე, მეხუთე და მეექვსე პრინციპები)
» **ფიზიკური სიბრტყე**: შემტევი მოქმედება და დაცულობა ქმნის მობილურობის შესაძლებლობას (მეშვიდე, მერვე და მეცხრე პრინციპები)

უნდა ითქვას, რომ კოსმიური სიბრტყე ერთგავარად ამოვარდნილია და ირიბად ზემოქმედებს ძალის გამოყენების თვალსაზრისით. თუმცა ის მნიშვნელოვანია, როგორც მიზნის, ასევე დანიშნულების და შესაბამისად, ძალის ფორმირების თვალსაზრისით.

ფულერისთვის, გარკვეული ფილოსოფიური და მეთოდოლოგიური საფუძვლებიდან გამომდინარე, პრინციპები ძალთა ეკონომიის (ზოგადი, უნივერსალური) კანონის ემანაციას წარმოადგენს. შემდეგ ჩამონათვალში თითოეულის აგდილი გაპირობებულია წინადან: გონების პრინციპები ქმნიან ბაზას ნების (მორალური სივრცის) ქმნადობისთვის და ამ უკანასკნელის საფუძველზე ყველაფერი მოძრაობაში მოდის (ფიზიკური სივრცე);

I. მიმართულების პრინციპი
II. კონცენტრაციის პრინციპი
III. დანაწილების პრინციპი
IV. ძალის განსაზღვრის პრინციპი
V. სიურპრიზის (მოულოდნელობის) პრინციპი
VI. მდგრადობის პრინციპი
VII. მობილურობის პრინციპი
VIII. შემტევი (აგრესიული) მოქმედების პრინციპი
IX. უსაფრთხოების პრინციპი

ახლა ამ პრინციპების დაჯგუფება ბევრნაირადაა შესაძლებელი, ვინაიდან ცხრავე ერთ მთლიანობას წარმოადგენს და ძალის ეკონომიის კანონის ტოლფასია. (ibid, გვ.225): შეგვიძლია პრინციპები იმ სფეროების მიხედვითაც დავაჯგუფოთ, რომელსაც ისინი მართავს (გონებრივი, მორალური და ფიზიკური), ანდა დასაჯგუფებლად სხვა ნიშნები ავიღოთ: მაგალითად, ერთ-ერთი ტრიხოტომიური დალაგება ეყრდნობა ძალის გამოყენების ისეთ პარამეტრებს, როგორიცაა მართვა (კონტროლი), ზეწოლა და წინააღმდეგობა: ძალას ვიყენებ ან წინააღმდეგობის გასაწევად, ან იძულებისათვის და ეს რომ შევძლო, მე ის უნდა ვმართო. ამ პარამეტრბის მიხედვით, პრინციპები ასევე სამ დიდ ჯგუფად ლაგდება:

1. **კონტროლის (მართვის) პრინციპები**: პირველი, მეოთხე და მეშვიდე
» მიმართულება
» ძალის განსაზღვრა
» მობილურობა

2. **ზეწოლის პრინციპები**: მეორე, მეხუთე და მერვე
» კონცენტრაცია
» სიურპრიზი
» შემტევი მოქმედება

3. **წინააღმდეგობის პრინციპები**: მესამე, მეექვსე და მეცხრე
» დანაწილება
» მდგრადობა
» უსაფრთხოება

ეს გახლავთ ის ბაზა, რაზედაც დაყრდნობით იგება ომის გააზრება პრაქტიკულად ყველა **თანამედროვე (დასავლურ) სამხედრო დოქტრინაში**. მართლაც, თვალი რომ შევავლოთ პრინციპების სტანდარტულ

ინტერპრეტაციას, ადვილად დავრწმუნდებით, რომ 1925 წლის შემდეგ, მათ გააზრებაში არსებითად, არაფერი შეცვლილა გარდა იმ ვითარებისა, რომ ძნელი სათქმელია, მოიაზრება მათში თუ არა ფულერის მიერ მიგნებული ერთიანობა. მაგალითად, აშშ-ს პრინციპების დოქტრინული ჩამონათვალი შემდეგნაირად გამოიყურება:

1. **მიზანი** - წარმართე ნებისმიერი სამხედრო ოპერაცია ნათლად განსაზღვრული და მიღწევადი მიზნისაკენ (შეესაბამება ფულერის **მიმართულებას** (შენიშვნა: აქ და ქვემოთ, შესაბამისობების შესახებ იხ. [7]). გადმომაქვს მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი შესაბამისობა შესაძლოა ხელოვნურიც გვაჩვენოს).

2. **აგრესიულობა** - ხელთ იგდე, შეინარჩუნე და გამოიყენე ინიციატივა: ა) მხოლოდ შემტევი მოქმედებით შეგვიძლია მივაღწიოთ გადამწყვეტ შედეგს; ბ) როდესაც თავდაცვით ბრძოლებს ვაწარმოებთ, თავდაცვა უნდა იყო მაქსიმალურად აქტიური. (შეესაბამება ფულერის **შემტევი (აგრესიული) მოქმედების პრინციპს**)

3. **კონცენტრაცია (თავმოყრა)** - თავი მოუყარე მთლიანი საბრძოლო ძალის ეფექტს გადამწყვეტ დგილას და გადამწყვეტ დროს. (შეესაბამება ფულერის **კონცენტრაციისა და დანაწილების პრინციპებს**)

4. **ძალის ეკონომია** - მეორადი ძალისხმევისათვის წარმართე შესაძლო მინიმუმი. ფულერთან შესატყვისი არ გააჩნია, ვინაიდან **ძალის ეკონომია ფულერისთვის ურფო გადამფარავია ცხრა პრინციპისა, ვიდრე პრინციპი**

5. **მანევრი** - ძალების მოქნილი გამოყენებით ჩააყენე მოწინააღმდეგე უხერხულ მდგომარეობაში: ეს არის ძალის იმდაგვარი გადაადგილება, რომელიც არღვევს მოწინააღმდეგის ბალანსს და შეუძლებელს ხდის მისთვის მისდიოს ერთ რომელიმე არჩეულ გეგმას. **მანევრი შეუძლებელს ხდის განჭვრეტადი სვლების შესაძლებლობას**. (შეესაბამება ფულერის **მობილურობას**)

6. **მართვის ერთობა** - ყოველი მიზნისათვის ესწრაფე მართვისა და მიზნის ერთობას: ყველა ძალა ექვემდებარება ერთ მეთაურს, რომელიც ერთი მიზნის მიღწევას გულისხმობს. (შეესაბამება ფულერის **ძალის განსაზღვრასა და მდგრადობას**)

7. **უსაფრთხოება** - არასოდეს მისცე მოწინააღმდეგეს შესაძლებლობა მიაღწიოს მოულოდნელ უპირატესობას. (ზუსტად შეესაბამება ფულერის **უსაფრთხოებას**)

8. **სიურპრიზი** - დაარტყი მოწინააღმდეგეს ისეთ დროსა და ადგილას, სადაც არ ელის, ანდა იმდაგვარად, რისთვისაც ის მზად არ არის : სულ ცოტა, ისეთ რამეს უნდა ვეცადოთ, რომ მოწინააღმდეგის **რეაქცია**, თუნდაც სწორი, **დაგვიანებული** აღმოჩნდეს. (შეესაბმება ფულერის **სიურპრიზს (რაც მოწინააღმდეგის დემორალიზაციას იწვევს)**)

9. **სიმარტივე** - მოამზადე ნათელი , გაურთულებელი გეგმები და ცხადი ბრძანებები, რომ მიღწეულ იქნას მათი განხორციელება მათი გაცნობიერების გზით და არა ავტომატურად. (აღნიშნული პრინციპი ფულერთან არ გვხვდება).

დასკვნის მაგიერ

ახლა ვცადოთ გავერკვეთ იმ კითხვის არსში, რომელიც სათაურშია დასმული.

როგორც ვნახეთ, ის, რომ დღეს აღიარებული პრინციპი ცხრაა, რეალურად, ფულერის ომის გააზრებისადმი მეტად სპეციფიკური მიდგომის შედეგია. როგორცა ჩანს, შემთხვევითი არაა ისიც, რომ **FM 100-5. Operations**, გარდა ცხრა პრინციპისა, დამატებით, ასევე ხუთ **პოსტულატს (დოგმას - tenets)** ასახელებს. ასევე, შემთხვევითი არ გახლავთ ის, რომ სხვადასხვა მწერალი, სხვადასხვა დროს, საკუთარი და მხოლოდ მისთვის გასაგები მოტივებით, სხვადასხვა ჩამონათვალს იძლეოდა პრინციპებისას. იგივე ნაპოლეონის ცნობილი **მაქსიმები**, რომელთაგან ფულერმა მხოლოდ ექვსი მიიჩნია საყურადღებოდ, გაცილებით მეტია: მაგალითად, ბრიგადის გენერალ ტომას ფილიპსის რედაქციით გამოქვეყნებულ **სტრატეგიის საფუძვლებში (Roots of Strategy)**[4] შესულია 115 მაქსიმა. მეტიც, სხვადასხვა ქვეყნები პრინციპების სხვადასხვა რაოდენობასა და ფორმულირებას ირჩევენ: მაგალითად, დიდი ბრიტანეთის დოქტრინაში პრინციპების რაოდენობა ათია; ყოფილი საბჭოთა კავშირის დოქტრინაში, რასაც დსთ-ს წევრი ქვეყნებიც იზიარებენ, თერთმეტი; საფრანგეთის არმია ცნობს სამს, ხოლო ისრაელი - ათს. და ა.შ. [7]

ხომ არ ნიშნავს ყველაფერი ეს იმას, რომ დროთა განმავლობაში, იარაღისა და ომის ფორმების ცვლილებებიდან გამომდინარე, პრინციპების დღევანდელი ჩამონათვალი შეიძლება საერთოდ ირელევანტური აღმოჩნდეს?

მაგალითად, ჩვენს წერილში **მეოთხე თაობის ომი და ტერორიზმი**, რომელიც ელექტრონულ ჟურნალ **სპა**-ში 2019 წელს გამოქვეყნდა, ვწერდით, რომ თუ კი მეოთხე თაობის ომი საბრძოლო სივრცის ზრდის ტენდენციას შეინარჩუნებს, მაშინ აუცილებლობით მივალთ შედეგამდე, როდესაც ომის წარმოების ტრადიციული ხერხები ძალას კარგავს, ხოლო საბრძოლო სივრცის დომინანტად შეიარაღებულ ადამიანთა მცირე ჯგუფები იქცევა.

ეს კი, სულ ცოტა, ნიშნავს იმას, რომ ომის ყველა პრინციპი, გარკვეულწილად, შინაარსობრივად ახალ ელფერს შეიძენს. ზოგიერთი კი, შესაძლოა, უპირატეს პრინციპად გადიქცეს: მაგალითად, **თუ კი მცირე ჯგუფი საბრძოლო სივრცის დომინანტად ქცევის ტენდენციას ამჟღავნებს, მაშინ მანევრი უნდა იქცეს უმთავრეს დოქტრინულ მოთხოვნად და შეიძლება მას თავისი პირვანდელი სახელიც კი დაუბრუნდეს - მობილურობა.**

შევაჯამოთ: ნაპოლეონის ომების გადააზრება გვაძლევს **ნაპოლეონის მაქსიმებს** და **ჟომინისა** და **კლაუზევიცის** დოქტრინულ ხდევებს ომისა და მისი მართვის შესახებ. პირველი მსოფლიო ომის გადააზრება ქმნის იმ სივრცეს, რომელზედაც **ფულერისა** და **ლიდელ ჰარტის** სტრატეგიული ხედვები იქმნება, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დასრულება და ცივი ომი ასპარეზს უხსნის საბრძოლო სივრცეებზე ამბოხებულთა არმიების დომინანტობას, რომელნიც ომს საკუთარი ხედვით (პრინციპებით) უდგებიან (ე.წ. პარტიზანული ომის პრინციპები: **ლოურენს არაბი** (1888-1935), **მაო ძედუნი** (1893-1976), **ერნესტო ჩეგევარა** (1928-1967)), ხოლო ურბანული გარემოს განვითარება და მეგაპოლისების გაჩენას თან სდევს ასეთ გარემოში სრულიად ახლებურად გააზრებული საბრძოლო გარემო და მასში მოქმედების პრინციპები (იხ. **კარლოს მარიგელას** (1911-19690) ქალაქის პარტიზანთა მინისახელმძღვანელო [5]).

ხომ არ ვუბრუნდებით ჩვენ კლაუზევიცისეულ ეპისტემიოლოგიურ დილემას, როდესაც ომის ლოგიკურად გამართული თეორიის აგება მხოლოდ იდეაში არსებული (იდეალური) ომისთვისაა შესაძლებელი და რომელიც რალურად არ არსებობს? ხოლო ის რაც რეალურად ხდება, პოლიტკის გაგარძელებაა მხოლოდ და როგორც ასეთი, თეორიის ასაგებად მეტად საეჭვო საფუძველს წარმოადგენს. იგივეს თქმა ხომ არ შეგვიძლია პრინციპების შესახებაც? პრინციპები, რომელსაც არსებული დოქტრინები აღწერს, წასული ეპოქის წასული ომების თეორეტიზაციის ცდაა მხოლოდ და ხომ არ მოხდება ისე, რომ მომავლის ომების ხასიათის განჭვრეტისა და მათი მსვლელობის ვიზუალიზაციისას (მოდელირებისას), ანუ ომის თეორიის, როგორც ხდომილების თეორიული აღწერის ფულერისგან განსხვავებული ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიურ საფუძველზე აგებისას, ჩვენ სულ სხვა პრინციპებს „გადავწყდებით“?

ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ომის პრინციპების გააზრების თემა სულაც არ არის ამოწურული იმით, რომ მათი ჩამონათვალი, წლებია, უცვლელად გადადის დოქტრინიდან დოქტრინაში, ანდა დოქტრინის ერთი რედაქციიდან მეორეში. მიუხედავად ერთგვარი უცვლელეობისა, როგორც ირკვევა, მათი შინაარსი მეტად პირობითია. ისევე, როგორც პირობითად რჩება მათი რაოდენობაც. ეს ის ცხრაა, რომელთა „აღმოჩენა“ წინა საუკუნის ომების თეორიული გააზრების მაცდელობამ „უკარნახა“ ფულერს და მაშინ, ჩნდება კვლევის რამოდენიმე მიმართულება, რომელთაგან მნიშვნელოვნად, სულ ცოტა, შემდეგი სამი მიგვაჩნია:

1. **რამდენად მყარია** ის სააზროვნო ბაზისი, რასაც ფულერი ეყრდნობოდა? სხვა სიტყვებით, რამდენად სანდოა თავად „**ომის მეცნიერების**“ საფუძვლები?

2. **რა მიმართულებითაა** შესაძლებელი წავიდეს **პრინციპების ცვლილება** თუ კი თეორია შეძლებს მეტ-ნაკლებად სრულად აღწეროს მეოთხე, მახუთე და მეექვსე თაობის ომების საბრძოლო სივრცე? (შევნიშნავთ, რომ 21-საუკუნის ომების აღწერისას, რუსმა სამხედრო ექპერტმა მიხეილ ტრებინმა, მაგალითად, თეორიაში აღწერილ პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე თაობის ომებს მეხუთე და მეექვსე თაობის ომების აღწერა უკვე დაუმატა(იხ. [10]))

3. თუ ეს ცვლილებანი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, **რა ტიპის ცვლილებებს** განაპირობებს აღნიშნული ვითარება ომის მსვლელობის დოქტრინულ ხედვებში? სხვა სიტყვებით, [FM-100-5]-ის ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, **რა ტიპის ცვლილებები გახდება აუცილებელი არმიის მოქმედების დოქტრინის საფუძვლების გააზრებისთვის და რას შეცვლის ეს მომქმედ დოქტრინებში?**

გამოყენებული ლიტერატურა

- 1. FM 100-5. Operations. https://www.bits.de/NRANEU/others/amd-us-archive/fm100-5%2893%29.pdf
- FMFM 1-3, Department of the Navy, Headquarters United States Marine Corps, Washington D.C. 20380-0001. 1991
- Col. J.F.C. Fuller. The Foundations of the Science of War, https://www.armyupress.army.mil/Portals/7/combat-studies-institute/csi-books/Foundationsof-Science-of-War.pdf
- Roots of strategy. The 5 Greatest Military Classics of All Time. Ed. By Brig. Gen. Thomas R. Philips, US Army. Published By STACPOLE BOOKS, Harrisburg. PA, 1985
- Carlos Marighella. Minimanual of the Urban Guerrilla. https://www.marxists.org/archive/marighella-carlos/1969/06/minimanual-urban-guerrilla/index.htm
- The Oxford Companion to Military History. Ed. By Richard Holmes, Oxford University Press, NY, 2001
- https://en.wikipedia.org/wiki/Principles_of_war#20th_century_theory
- დავით თევზაძე. მეოთხე თაობის ომი და ტერორიზმი, https://1tv.ge/video/meotkhe-taobis-omi-da-terorizmi/
- Жомини. О стратегии, http://militera.lib.ru/science/classic2/10.html
- 10. Михаил Требин. Войны XXI века, Москва АСТ 2005